

საპარტველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 იანვარი, კვირა, 1987 წ. № 17 (9428) • ზანი 8 ჰპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიკა

# გარდაქმნის რიტმის განსასაზღვრავად

## საპარტველოს სსრ მეთარტემათა მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუხურთა სანია

**მეთარტემა** ხელოვნების მეორე წელი ტემს აძლიერებს. საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. დასახული განახლების მანძილზე, ცვლილებათა მოთხოვნები გვიკარნახებს, რომ საქართველო უფრო გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ სოციალისტური დემოკრატია, ავამაღლოთ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლი, გავაძლიეროთ მათი პასუხისმგებლობა. სახალხო დემუტატთა საბჭოები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ გარდაქმნის რიტმს, მოწოდებული არიან განუხრებლად სრულყოფილ მუშაობის სტილი, მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები პარტიის სტრატეგიული კურსის — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს თვითმართვით გარდაქმნის უზრუნველყოფის კურსის განხორციელებაში.

ამ აზრით იყო გამსჭვალული საქართველოს სსრ მეთარტემატე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მთელი მუშაობა, რომელიც 24 იანვარს გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. თავმჯდომარის მაგილას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დემუტატი **ი. ბ. აბაშიძე**, თავმჯდომარის მოადგილეები

დემუტატები **ნ. ი. ლალიძე**, **ე. ჩ. კვარჩია**, **ა. კ. ლალიძე**, **ბ. ბ. ტახტაძე**.

მთავრობის ლოკებში არიან ამხანაგები **კ. ი. პატიაშვილი**, **ვ. ი. ალავეტი**, **გ. ა. ანდრონიკაშვილი**, **გ. ა. ანჩაბაძე**, **პ. გ. ვილაშვილი**, **გ. ნ. ენუქიძე**, **ო. გ. ვარძელაშვილი**, **კ. ა. კონიჭოვი**, **გ. ა. მეტონიძე**, **ბ. ვ. ნიკოლსკი**, **ო. ე. ჩერქეზია**, **ზ. ა. ჩხეიძე**, **ბ. ვ. აღლიძე**, **გ. გ. გუმბარაძე**, **გ. ხ. ემირიძე**, **ჭ. ვ. მარგველიძე**, **თ. ი. მოსახვილი**, **ფ. ხ. ხანაიკოვი**, **ნ. რ. ხაჭაია**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესია გახსნა დემუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ**.

დემუტატებმა ერთმანდალ დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუღალტერული მუშაობის საქმიანობა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოვიდა დემუტატი **გ. ნ. ენუქიძე**


იხ. გვ. 2 33

### საპარტველოს პროფკავშირების XVIII ყრილობის განხილვის შესახებ

საპარტველოს პროფკავშირების XVIII ყრილობა გაიხსნა 1987 წლის 30 იანვარს დღის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის გამზ. № 8).

დღევანდელ საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში (გრიბოედოვის 19); 30 იანვარს — დღის 8 საათიდან 9 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი ტელეფონებით: 99-67-42, 99-56-43, 93-19-88.



ეროვნული გიგლირთეკა

**გუშინ** თბილისის სახელმწიფო ცირკმა კვლავ უმასპინძლა ტრადიციულ შეჯიბრების ქართულ კიდეობაში. ამჯერად არენაზე გამოვიდნენ თელავის რაიონის სოფელ სანიორეს, თბილისის გოდანის რაიონის, კასპის სოფელ ხოვლესა და ძველი რუსთავის გუნდები.

გლანელ და სანიორელ მოქიდეეთა შეხვედრა ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა — 5:4. სანიორელთაგან თავი გამოიჩინეს თამაზ ჭველაურმა და ჯანგულ ქო-

ჩივილმა. მათ გადაწყვეტ მომენტში წმინდად დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები. თბილისელთაგან აღსანიშნავია საქართველოს 1984 წლის ფალანის, სპორტის ოსტატის დავით დავითაშვილის კარგი კიდეობა: ვეტერანმა წმინდად დაამარცხა თავისი მეტოქე, მაგრამ ამით გუნდს მაინც ვერაფერი უშველა.

ასევე საინტერესო იყო ხოვლესა და ძველი რუსთავის გუნდების პაექრობა. გამარჯვებული აქაც ბოლო ორთაბრძოლაში გამოვიდა. ხო-

ვლესა ვასილ მამულაშვილმა წმინდად დაამარცხა ემზარ მიხელიძე და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 5:4.

7 თებერვალს თბილისის ცირკში იასპარეზებენ ქ. გორის „ციხისუნის“, თბილისის ორთაქალის, ქუთაისის „საფიჩხის“ და ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის გუნდები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

### გუშინ, დღეს, ხვალ...

**▲ გუშინ** ლესელიძეში თბილისის „დინამო“ პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. თბილისელთა მეტოქე იყო დონეცის „შახტიორი“. 1:0 — გამარჯვების დინამოელებმა. 72-ე წუთზე გოლი გაიტანა მიქაშაძემ.

„დინამო“ შემადგენლობა: გაბელა, კორღალიძე, უორდანი, ჭედი, მალანია, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა (გურული), მიქაშაძე (ბარათაშვილი), რევიშვილი (ბიგვავა).

გუშინვე ითამაშეს ამავე გუნდების სხვა შემადგენლობებმა. აქაც „დინამო“ გამარჯვა — 2:2. გოლები გაიტანეს შენგელიამ და გურულმა (2 პენალტით). გურულმა მეორე შემადგენლობაშიც ითამაშა.

### ღირსეულ სვლას ვეღო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორად დანიშნა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ხელბურთელი, სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატი **ივანე მხნაძე**.



ფარ რაც შეიძლება თანამად, ჩქარა გამოვანახოთ უფრო ეფექტური გზები და საშუალებები. ამ ამოცანას მხოლოდ განათლების სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები ვერ გადაჭრის, კონკრეტულ დახმარებას მოველოთ უკლებლივ ყველასაგან. აქვე დავძენ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეთავისუფლოთ ფორმალის სენსიანობა. თუ ყველაფერს საღი თვალთ შევხედავთ, საქმეც უდავოდ უქონ წვა.

ჩვენი ამოცანაა სრულად, გამიზნული უქუგებით ავაიმქველოთ სა-

იხ. გვ. 2 33

### პროფკავშირების ზრუნვით



მძლეონობის სახალხეში, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსაბჭოებთანა და სპორტის განვითარების განხორციელებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, 24 იანვარს, 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის გამზ. № 8) გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს XVIII ყრილობის გახსნის ცერემონია. მისი კარი უწყველად გაგრძელდება. მისი კარი უწყველად გაგრძელდება. მისი კარი უწყველად გაგრძელდება.

# ბარდამენის რიბმის განსასაზღვრავად

საქართველოს სსრ მეთარეობა მოწვევის უაღლესი საჭოს მხარეთა სსრ

(დასასრული)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიანად ერთობადად აირჩიეს დეპუტატი ვ. ა. კვარაცხელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად ერთობადად აირჩიეს დეპუტატები: თ. ვ. კუჭუხელია — საქართველოს კომპარტიის მხარაბის რაიკომის პირველი მდიანი, ბ. ი. ვაშაძე — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცემელი მძღოლი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ვ. ყარყარაშვილმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ნ. რ. ხაჯაია — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ხ. ჯიქია — საქართველოს კომპარტიის ცხაკიას რაიკომის პირველი მდიანი, ბ. ა. ლაბანი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მ. ა. კალმახელიძე — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკურნალო ფაბრიკის მეკრავი, ა. ო. მოვხეიანი — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, ლ. ა. ლურჯია — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კ. თ. ხალია — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, ვ. ი. კაკარავა — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

გამოსულმა ამხანაგებმა გააანალიზეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს იგი საგრძნობლად გააქტიურდა. მაგრამ ცხოვრება, დღევანდელმა გვიკარნახებს, რომ საქირთა კიდევ უფრო სრულყოფით მუდმივი კომისიების მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, გავაძლიეროთ მათი ეფექტიანობა. აღინიშნა, რომ ამ მუშაობაში უფრო ენერგიულად უნდა ჩაებათ სხვადასხვა მეთოდები, მეთოდები, მეცნიერები, უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები. გარდაქმნის პროცესში მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ მუდმივმა კომისიებმა ეკონომიკასა და სოციალურ-კულტურულ სფეროში განსაკუთრებით მოწოდებული მტკიცეული საკითხების განსახილველად, ბევრი რამ იღონონ ანალიზური და საკონტროლო საქმიანობის გასაძლიერებლად.

განხილული საკითხის გამო სესიამ მიიღო დადგენილება.

სესიამ განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულის გამო მიიღო შესაბამისი კანონი და დადგენილება.

(საქმინფორმში).

## ღირსეულ ცვლას ველოთ

დასასრული

სკოლა, კლასგარეშე და სკოლის-გარეშე ფიზიკურულ-სპორტული მუშაობის მთელი სისტემა. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. უნარბინად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი, სისტემის ერთი რგოლი უკვე აქტიურად ამოქმედდა — ტარდება მოსწავლეთა მასობრივი შეჯიბრებები მძღოლისობაში, კალათბურთში, ფეხბურთში... ჩვენთან ერთად ამ ღონისძიებას უძღვება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სპორტსაზოგადოება, ახალგაზრდული გაზეთების რედაქციები.

● გამოდის, რომ ქართული სპორტის რესურსის მოხაზვაში მთავარ როლს ითამაშებენ ხელოვნური და ბუნებრივი ფაქტორები. რა თქმა უნდა, მოზარდი თაობის გაჯანსაღებასთან ერთად ჩვენი უპირატესი ამოცანაა ქართულ სპორტს ღირსეული ცვლა მოვუშვალოთ. საქართველოს სპორტსაზოგადოება სპორტის ბევრ სახეობაში სარესურსო ნაკრები გუნდები სწორედ მოსწავლე სპორტსმენებით დააგომპლექტა.

● რაკი ბავშვთა სპორტი ახსენეთ, ბარემ აქვე ვთქვათ. მოსწავლეთა საკავშირო სპორტკლასის ნაცვლად წელს პირველად ჩატარდება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები. ცნობილია ისიც, რომ ამ დიდ სპორტულ ღონისძიებას ჩვენი რესპუბლიკა უმასხანდლებს, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ამაღლებს საქართველოს მოზარდ სპორტსმენთა და მათ აღმზრდელთა პასუხისმგებლობას.

## საზონი თბილისში იწყება

ბის დაკავების კარგი შანსი აქვთ აგრეთვე ავთანდილ გოგოლაშვილს, ეგია მუსოიანს, მამუკა რაზმაძეს, ზაზა თურმანიძეს, ზაზა ტყემელაშვილს, ლევან ებანოიძეს და სხვა ახალგაზრდა მოქიდავეებს. ამ ტურნირის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული, ვინ დაიმკვიდრება ადგილს საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

● მეტოქეებზე რას გვეტყვი? — როგორც უკვე გამოცხადდა, წლებადელ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს 11 ქვეყნის მოქიდავეები. ჯერჯერობით უსტად არ ვიცით უცხოეთის გუნდების შემადგენლობა, მაგრამ იმის თქმა დანაშაულებით შეიძლება, რომ შედეგებისთვის უშედეგაოდ ბრძოლა გაჩაღდება. საბჭოთა ნაკრები, როგორც ყოველთვის, საუკეთესო მოქიდავეებს გამოიყვანს. თბილისში იასპარეზებენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები არსენ ფაძაგი, სერგეი ბელოვლაშვილი, პიოტრ ნანიევი, სანსარ ოპანესიანი, მასარბე ხაღარცევი, რომბერტი თბილისი, ვლადიმერ მოდოსიანი, ზაზარეტი ისაევი და სხვები.


● თქვენ რამდენი მოქიდავის გამოცემა აპირებთ? — საქართველოდან ოცდაათამდე სპორტსმენი იქიდავენ. უმჯატეს წონაში წარმომადგენელი არ გვეყოლება. მჯატე წონაში გამოვა ზურაბ ტატუაშვილი, 57 კგ წონაში სამი მონაწილე იქნება — ეგია მუსოიანი, ემზარ გვიჩიანი და ზურაბ ლალიაშვილი. სამ-სამ მოქიდავეს ვამზადებთ მსუბუქ, პირველ და მეორე ქვესაშუალო წონებშიც. ესენი არიან: ვეფხვია სალთხუციშვილი, იოსებ ბახტაძე, შამილ მაჰომედოვი (62 კგ), გონა ვაბაძე, ნუგზარ პატურიშვილი, მალხაზ როზომაშვილი (68 კგ), ლევან სირაძე, მერაბ ციმაკურიძე და დავით ზურცია (74 კგ). ოთხ-ოთხი მოქიდავე გამოვა 82 და 90 კგ წონით კატეგორიებში: ავთანდილ გოგოლაშვილი, სოლომონ აბაშვილი, ანზორ გოგრიძიანი, არკადი ეპროკოვი, მამუკა რაზმაძე, ვახტანგ სულთანიშვილი, კობა ლომიძე და არსენ მაისურაძე. ქვემძიმე წონაში იასპარეზებენ ლეონი ზაბელოვი, ზაზა ტყემელაშვილი და კობა კუბატაძე, მძიმეში — დავით გობეჯიშვილი, ზაზა თურმანიძე, ვია ვალდავა, ლევან ებანოიძე და კობა ლოჩიშვილი.

ენახურა კობა ახალგაზრდა მოქიდავი.

მოხალისეებმა თავისუფალი სტილის მოქიდავით თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — წლებადელი სპორტული სეზონის სახტარტო შეჯიბრება. ჩვენს დედაქალაქში წელს ოცდამეექვსედ იკრიბებიან პლანეტის უძლიერესი ფადავები. ტურნირში, როგორც ყოველთვის, ცალკე გუნდად იასპარეზებს საქართველოს ნაკრები. „დედაქალაქის კარგეს-მონდენტი დაესწრო ჩვენი მოქიდავეების ვარჯიშს და ესაუბრა გუნდის უფროს მწვრთნელს ვლადიმერ მესტჰაიმიშვილს.

— ტურნირისთვის მზადება დეკემბერში დაიწყო, — ამბობს ემესტჰაიმიშვილი, — პირველი საწვრთნელი შეგება ბორჯომში გვექონდა. იქ გამოიკვთა ნაკრების ძირითადი ბირთვი. ამჟამად დილით, ჰილდობის სპეციალიზებული სპორტსკოლის ბაზაზე ვემზადებით. ნაკრების ყველა წევრი მაქსიმალური დატვირთვით ვარჯიშობს. ეშურაში საკავშირო ნაკრებთან ერთად ემზადებიან მამუკა რაზმაძე, ლეონი ზაბელოვი და დავით გობეჯიშვილი. იქ კიდევ რამდენიმე ქართველი მოქიდავე მიიწვიეს, მაგრამ ბიჭებმა თბილისში ამკობინეს ვარჯიში, რაზეც საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობას უარი არ უთქვამდა.

● ჩვენი მოქიდავეების ბოლოდროინდელი გამარჯვებებით დაიმედებული, მათგან ახლაც მაღალ შედეგებს ველოთ... — შარშან ჩვენ ორი ჩემპიონი გვეყავდა — ლეონი ზაბელოვი და დავით გობეჯიშვილი. ისინი ახლაც კარგ სპორტულ ფორმაში არიან. ვფიქრობთ, რომ მაღალი ადგილები



**თბილისის სპორტის სასახლე**

**30 იანვარი — 1 თებერვალი**

**XXVI ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ქიდავაში**

მონაწილეობენ: ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, კუბის, უნგრეთის, მონღოლეთის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, ესპანის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების დასაწყისი: 11 და 18 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის საღაროებში.

## ოფისის სარბიელის სიურპრიზები

სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

ამდენი მოულოდნელობა დაუჭრებლად შეიძლება გეჩვენოთ. ომსის სპორტკლასში „ორტიში“ სიდაც კლასიკური სტილით მოქიდავთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატი ტარდება, ტიტულოვანი სპორტსმენები თვდახრილი ტოვებენ სარბიელს. არადა, ჯერ მხოლოდ პირველი დღე მიიწურა.

ყველაზე მსუბუქი, 48 კგ წონით კატეგორიაში (ბრძოლაში თავდაპირველად 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონის მოქიდავეები ჩაებნენ) თავი გამოიჩინა შარშანდელმა ჩემპიონმა იუნიორთა შორის, ომსკელმა სერგეი სუფროვმა. პროგრესების საწინააღმდეგოდ მან ტაქტიკურად სწორად ააგო ბრძოლა ევროპის ჩემპიონი ივან სამტაევთან (გორნო-ალტაისკი) და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

სამტაევს მარტი სპეციალისტება შემოხვევას მიაწერეს, მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდენა. ევროპის ჩემპიონმა მეორე შეხვედრაც წააგო ახალგაზრდა ულიანოვსკელ ეგენი ბორისოვთან და ტურნირის სტარტზევე მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლა.

სპორტსმენებმა იციან თქმა, შინ კედლებიც გვექმარება, მაგრამ ამ ჩემპიონატმა მინც დაგვეყვია, რადგან ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორის ტიმერჯან კალიმული (57 კგ) დამარცხებას ტურნირის ერთ-ერთ სასტარტო შეხვედრაში არავინ მოელოდა. გულშემატკივრებს ეგონათ, რომ იგი უმაღლესი ჯილდოს მიიღებდა, მაგრამ კალიმულინი მოქიდავთა სამყაროში ნაკლებად ცნობილი როსტოველ სერგეი ზაბეივოტისთან დამარცხდა.

ერთი სიტყვით, ავტორიტეტებს ამ ჩემპიონატში შავი დღე ადგათ: ისინი ან პოზიციებს თმობენ, ან ახალგაზრდების სითამამესა და ამბიციებს ვერაფერს უპირისპირებენ. ომსკელმა ნიკოლოზ კოვალენომ პირველ წრეში ევროპის ექს-ჩემპიონი მიხეილ პროკუდინი დაამარცხა (ბრძოლას 5 ქულით აგებდა, მაგრამ ბოლოს მაინც გიმარჯვა), ამ წარმატებით გათამამებული კოვალენკომ მსოფლიო ჩემპიონი ლენინაკანელი ლეონ კულდავაკიანიც დაამარცხა.

ფავორიტთა პრესტიჟს ჯერჯერობით მხოლოდ ორი მოქიდავე იცავს — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი (82 კგ) და მასზე არანაკლებად ცნობილი ვიტებსკელი იგორ კანიგინი (100 კგ). აღანიშნავია, რომ მამიაშვილი წლებულს ძალებს უფრო მაღალ წონაში ცდის.

გუშინწინ ასპარეზობაში დანარჩენი წონითი კატეგორიის მოქიდავეებიც ჩაებნენ.



# პარკ პროლოგს პარკი გაბრძობას უნდა

**ცუდად** დაწერილი პროლოგი წიგნს ძველად წააკითხებდას კაცს. სპორტულ შეჯიბრებაშიც ასეა. ასპარეზობა თუ უღიმეხად დაიწყე, შეჯიბრების დროს ინტერესი ეკარგება მაყურებელს. საქართველოს

მოცურავეთა ზამთრის ჩემპიონატის პროლოგი დღე საინტერესოდ მიილია, ამიტომ შეჯიბრების დამთავრებას ინტერესით ველით. თბილისში, ვაკის საცურაო აუზში, საასპარეზოდ შეიკრიბნენ

აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ტყეშელისა და კიათურის წარმომადგენლები — 1969 (ქალები) — 68 წლებში (ვაჟები) და ადრე დაბადებული სპორტსმენები.

ტის კანდიდატის ნორმის შეესაბამება და საკეპრო სტანდარტებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამ დღეს რვა მოცურავემ შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი. მათ შორის ოთხი ვაჟი იყო: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას იგორ არტიომოვმა აჯობა (თბილისის „განთიადი“) — 54,8.



ამგვარ შეჯიბრებაში ხობელებმა პირველად ისახელეს თავი — ელენა გოლუბმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მესამე ადგილი დაიკავა (1.06,4).

უნდა ითქვას, რომ ელენა „კოლმეურნეს“ წარმომადგენელია და ამ სპორტსახოგადობის აღზრდილობა ასეთი რანგის ასპარეზობაში პირველად დაიკავა საპრიზო ადგილი. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელმა პირველი დღის შედეგებით კმაყოფილია. შარშანდელ ზამთრის ჩემპიონატთან შედარებით ასპარეზობის ბევრმა მონაწილემ გააუმჯობესა პირადი მაჩვენებლები. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა ქეთინო ზინდრაშვილმა („განთიადი“), რომელმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა (1.02,6). თუმცა, მისი მაჩვენებელი სპორტის ოსტატის

კანდიდატის ნორმის შეესაბამება და საკეპრო სტანდარტებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამ დღეს რვა მოცურავემ შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი. მათ შორის ოთხი ვაჟი იყო: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას იგორ არტიომოვმა აჯობა (თბილისის „განთიადი“) — 54,8.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელმა პირველი დღის შედეგებით კმაყოფილია. შარშანდელ ზამთრის ჩემპიონატთან შედარებით ასპარეზობის ბევრმა მონაწილემ გააუმჯობესა პირადი მაჩვენებლები. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა ქეთინო ზინდრაშვილმა („განთიადი“), რომელმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა (1.02,6). თუმცა, მისი მაჩვენებელი სპორტის ოსტატის

**„სპორტლოტო“**

სპორტული ლატარიების მოყვარულნი — სპორტლოტო შეჯიბრებაში მონაწილეობენ. სპორტლოტოს მონაწილეობაში მონაწილეობის წესები — სპორტლოტოს მონაწილეობის წესები — სპორტლოტოს მონაწილეობის წესები.

სპორტლოტო 6 35 — იანვარი — გაიყიდა 863897 ბარათი.

ქვემო ციფრი ვერაგინ გამოიწერა, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (62 ბარათი) მოგება 941 მანეთია, ოთხისთვის (3119) — 24, სამისთვის (41978) — 3.

სპორტლოტო 5 86 — იანვარი: გაიყიდა 7704509 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (39 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (7480) — 124, სამისთვის (247328) — 4.

**სპარსე და თეთრე**

**ცენტრალური ბალევიკია.** 25 იანვარი. დღის დაჭურვა — 8.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.15; სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ქილობაში (გადაცემა ომსკიდან) — 17.40 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში (გადაცემა ჩეხოსლოვაკიიდან) — 18.10 (2); მოფარევეთა სპორტსმენთა ტურნირი „მოსკოვის ხმალი“ — 18.40 (2); ვერობის ჩემპიონატი ციგურაობაში ვაჟთა შორის (გადაცემა ნორვეგიიდან) — 19.10 (2) და 23.55 (1);

26 იანვარი. დღის დაჭურვა — 8.00 (1); დღის ტანვარჯიში — 9.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ქილობაში (გადაცემა ომსკიდან) — 20.30 (2); მოფარევეთა სპორტსმენთა ტურნირი „მოსკოვის ხმალი“ — 21.15 (2).

**საპარტიველოს ბალევიკია.** 25 იანვარი. მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — საფრანგეთი — 18.10; კალათბურთის სატელევიზიო სკოლა (გადაცემა მეორე) — 20.50.

**საპარტიველოს რადიო.** 25 იანვარი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.30.

## ჯარიმა უღისციკლი-ნოზისათვის

**მეორე** ჩოგბურთელებს აესტრალიის ბალახის კორტებზე ტრადიციულად უჭირთ თამაში. ეს ქვეშეპირტება ერთხელ კიდევ დადასტურა ქვეყნის ღია ჩემპიონატში უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორის ბორის ბეკერის (გფრ) მაგალითზე. შარშან ბეკერი ასპარეზობას ზედ სტარტზე, მეორე წრეშივე გამოეთიშა. წლებს მან ოდნევი წინ წაიწია, მაგრამ მხოლოდ მეოთხედფინალამდე მიადგინა. თუმცა, 23 წლის აესტრალიელ უმაზურთან შეხვედრის პირველი პარტია ჩემპიონმა მოიგო ანგარიშით 6:4, მეორე ზედხედ ორი პარტია წააგო 6:7 და 4:6, მეოთხეში ბეკერმა წონასწორობა (რის ვიცი ვაგლახით აღადგინა, მაგრამ მცირე ხნით. მაზურის უპირატესობა მეხუთე პარტიაში აშკარა იყო — 6:2. მასპინძელმა ჩოგბურთელმა, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში მხოლოდ 71-ე ადგილი უკავია, გაიმარჯვა — 3:2.

ეს არ იყო შემთხვევითი წარმატება თუნდაც იმიტომ, რომ მაზურამ მომდევნო ბრძოლა ახალზე-ლანდელ კ. ევერდენსაც მოუგო (6:3, 7:5, 6:4) და ნახევარფინალში ადგილი დაიბეჭდა. ბეკერი კი... მაზურთან შეხვედრაში იმდენად უღისციკლიანად იქცეოდა, რომ 2 თასი დოლარით დაჯარიმდა. სადამოთი კი ცნობილი გახდა, რომ მან კონტრაქტი გაწყვიტა თავის მწვრთნელ გ. ბოშთან.

მეოთხედფინალის სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია პ. კეშის (აესტრალია) გამარჯვება ი. ნოასთან (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 2:6, 6:0, აგრეთვე მთავარი ფავორიტის ი. ლენდლის (ჩეხოსლოვაკია) და პ. იორიდის (შვეიცია) შეხვედრის ანგარიში — 7:6, 6:1, 6:3. ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა აესტრალიის შარშანდელ ღია ჩემპიონატში გამარჯვებულმა ს. ედბერგმა (დაამარცხა ჩეხი მეჩირი 6:1, 6:4, 6:4).

გამართა ქალთა ტურნირის ნახევარფინალური შეხვედრები: მ. ნავრატოლოვა (აშშ) — კ. ლინდკვისტი (შვეიცია) 6:3, 6:2, ხ. მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია) — კ. კოდე-კილი (გფრ) 6:1, 0:6, 6:3.

## „ოქროს ვარდის“ ლაპარაკები

# „სინიორ რიპერა“



ბაში მონაწილეობა მიიღო კიდევ სამ მსოფლიო ჩემპიონატში (1966, 1970 და 1974 წლები), 1968 წელს კი ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა. სულ ეროვნულ გუნდში 1962-1974 წლებში 60 მატჩი ჩატარა და 15 გოლი გაიტანა.

კოს ხელმძღვანელობით „მილანმა“ ჯერ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გაიმარჯვა (1968). შემდეგ, 1969 წელს, ფინალურ მატჩში დიდი ანგარიშით (4:1) სძლია აღმავლობის გზაზე მდგარ ამსტერდამის „აიაქსს“ და ჩემპიონთა თასი დაიბრუნა, ხოლო 1973 წელს კიდევ ერთხელ დაეპატრონა თასების მფლობელთა თასს. ამ გამარჯვებათა ერთ-ერთი სულისჩამმდგმელი რივერა იყო.

1975 წელს „მილანის“ ახალმა პრეზიდენტმა ალბინო ბუტიკიმ გადაწყვიტა, რომ 32 წლის ვეტერანი გუნდს სარგებლობას ვეღარ მოუტანდა და მისი გვარი გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეიტანა. ამან კლუბის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა გულსწყრომა გამოიწვია. გულგრილი, რა თქმა უნდა, არც რივერა დარჩენილა. მან განაცხადა: „მე ვერასოდეს ვითამაშებ „მილანის“ წინააღმდეგ, ამიტომ იძულებული ვარ გამოვეთხოვო ფეხბურთს“. მაგრამ იგი გულზელდაკრფილი როდი ელოდა კლუბის ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრების ბრძოლის შედეგს, შემოიკრიბა რამდენიმე მდიდარი, გავლენიანი მეცენატი და მათი დახმარებით მოახერხა კლუბის საკონტროლო აქციების დიდი ნაწილის შესყიდვა. ალბინო ბუტიკი იძულებული გახდა დაეთმო პრეზიდენტის სავარძელი და მისი ადგილი კლუბის წამყვანმა მოთამაშემ ჯანი რივერამ დაიკავა.

სწორედ რივერა-ბუტიკის ომის დროს, როცა მთელი იტალია სუბტივამეორული ელოდა მის შედეგს, უეფას შაშინდელმა პრეზიდენტმა არტიემო ფრანკიმ, აქაიდა ამ ბრძოლის შედეგი ისედაც ნათელიყო, განაცხადა: „იტალიისთვის რივერა იგივეა, რაც ბრაზილიისთვის — პელე“. დოქტორ ფრანკის ეს განცხადება ნათლად მეტყველებს ჯანი რივერას უდიდეს პოპულარობაზე.

რივერა ორი სეზონის მანძილზე გამოდიოდა მინდორზე როგორც „მილანის“ მოთამაშე-პრეზიდენტი, შემდეგ თავი დაანება თამაშს. პრეზიდენტის პოსტიდანაც გადადგა, მაგრამ თავისი გუნდი არ მიუტოვებია — კლუბის დირექტორატში დაიწყო მუშაობა.

## რედაქტორი თ. გარნილაკი

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად.

1. სამეცნიერო-ორგანიზაციული და საინფორმაციო-მეთოდური განყოფილება: განყოფილების გამგე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 2.
2. სპორტული მომზადების სამეცნიერო უზრუნველყოფის განყოფილება: უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1.
3. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიის განყოფილება: განყოფილების გამგე, ამ დარგში მუშაობის გამოცდილების მქონე პირი — 1, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 2, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 2.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისში მცხოვრებ პირებს. განცხადებისა და დებულებით გათვალისწინებული საბუთების მიღების ვადა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: 380062, თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა. საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ტელეფონი: 23-55-87.

სპორტსახოგადოება „კოლმეურნის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო 29 იანვარს თბილისის სახელმწიფო იმპროვიზაციულ მუსიკალურ მძღველს კოსტას თბილისის ავტომრევიზია და ცქავშირის სისტემის ორგანიზაციების თანამშრომელთა მონაწილეობით შეჯიბრება ეძღვნება საქართველოს პროტაგონისტთა XVIII ყრილობას.

**გვერდი მისამართი:**  
წერილებსთვის — 350096.  
თბილისი, ლენინის ქ. 14.  
დებულებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ბალევიკია:**  
სამდგენო — 93-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,  
წერილების განყოფილება — 93-97-55,  
„მერანი“ — 93-97-26, „მართვი“ — 93-97-27.

**გვ. 60**  
ინფორმაცია:  
66435

საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის ხაზმა. 350096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცხეტური წესით საავტორო კორპუსში: ზოშარაშლის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06740